კვლევათა ამ ციკლის დასასრულს, ჩვენ ვახდენდით დეტონაციათა სტატისტიკური დამოკიდებულებების მოდელირებას დიზელის საწვავის იწ სპექტრებზე. ამჯერად შედეგები უკეთესი იყო და კორელაცია სატესტო მონაკრებსის დეტონაციების გამოთვლილ და ექსპერიმენტულ მნიშვნელობებს შორის იყო. r=0.9365 და ცხრილი 1 წარმოადგენს გამოთვლათა შედეგებს ამ მოდელის მიხედვით.

როგორც ვხედავთ, კლასიკური მიდგომით აგებული მოდელები, უკეთეს შემთხვევაში, მცირედ აღემატებიან საშუალო ვარგისიანობას. ჩვენი შემდგომი კვლევების მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, შესაძლებელი იყო თუ არა მოდელების გაუმჯობესება ლატენტური ცვლადების რაოდენობის გაზრდით. ჩვენ თანდათანობით ვზრდიდით ლატენტური ცვლადების მნიშვნელობას და მიღებული მოდელების ვარგისიანობას კვლავ ვაფასებდით არა ერთის გამოტოვებით, ჯვარედინი ვალიდაციით, არამედ სატესტო მონაკრებსით, რადგან ჩვენს განკარგულებაში იყო სპეციალურად ამ მიზნით მომზადებული მონაცემთა ბაზა.

ღუღილის ტემპერატურების შემთხვევაში, ჩვენ მივაღწიეთ მოდელის მცირეოდენ გაუმჯობესებას, რაც გამოიხატა კორელაციის კოეფიციენტის ზრდით r=0.9492. რაც შეეხება ცეტანურ რიცხვებს, ჩვენ მივაღწიეთ მოდელის უფრო მნიშვნელოვან გაუმჯობესებას: r=0.8893.

ანალოგიურ პირობებში (მონაცემთა ცენტრირება, 15 ლატენტური ცვლადი, სატესტო მონაკრებსის გამოყენება) აგებულმა მოდელებმა სიმკვრივის შემთხვევაში, ისე როგორც ღუღილის ტემპერატურების დროს, კვლავ მიგვიყვანა მოდელის გაუმჯობესებამდე: r=0.9606.

ზემოაღნიშნული ყველა გამოთვლის შედეგები მოტანილია ცხრილში (ცხრ. 2).

ამრიგად, მთავარი კომპონენტების რეგრესიის გამოყენება, ძირითადად, საშუალებას იძლევა აიგოს სტატისტიკურად საიმედო მოდელები, რომელთაც, საშუალო ხარისხით, გააჩნიათ უცნობი ნიმუშების საძიებო ფიზიკური თვისებების წინასწარგანსაზღვრის უნარი. მიუხედავად ამისა, საჭიროა პასუხის გაცემა ისეთ კითხვაზე, როგორიცაა არაწრფივი სახის დამოკიდებულებების შესაძლო არსებობა ჩვენს მიერ საანალიზოდ აღებული დიზელის საწვავის ნიმუშების შემთხვევაში მათ ახლო იწ სპექტრსა და ზემოხსენებულ ფიზიკურ თვისებებს შორის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წრფივი მოდელების ხარისხის საგრძნობ გაუმჯობესებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ლატენტური ცვლადების რაოდენობის მკვეთრი ზრდის პირობებში. ეს, ინჰერენტულად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მოდელის პრედიქტიულობას, რამეთუ მთავარი კომპონენტების რეგრესიის მეშვეობით აგებული მოდელები არ შეიძლება იყოს გამოყენებული მაშინ, როცა ახალი ნიმუშები სცილდება ე.წ. საკვლევი პოპულაციის ჰიპერსივრცეს.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ, გამოგვეყენებინა ხელოვნური ნეირონული ქსელები, როგორც ხსენებული პრობლემების აღმოფხვრის შესაძლო მიდგომა.

ჩვენ მიერ შემუშავებულია სწრაფი და საიმედო ალტერნატიული მიდგომა. მისი არსი მდგომარეობს არა ოპტიმალური ცვლადების, არამედ ოპტიმალური ინფორმაციის შერჩევაში. იგი ეფუძნება უკვე არსებულ მთავარ კომპონენტთა რეგრესიის (PCR) მეთოდს იმ განსხვავებით, რომ მიღებული ლატენტური ცვლადები გამოიყენება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ მეთოდებში, როგორიცაა, მაგალითად, *BPNN* [12-14]. საბოლოო მოდელი მოიცემა ასეთი სახით: $B=f(X^{*}, Y)$, სადაც სასურველი ფუნქცია დინამიკურად აიგება ხელოვნური ნერვული ქსელების მიხედვით.

ჩვენი მეთოდის ეფექტურობა შესწავლილ იქნა დიზელის საწვავის რამდენიმე ასეული ნიმუშის იწ სპექტრისა და ექსპერიმენტულად განსაზღვრული საექპლოატაციო თვისებების (როგორიცაა, მაგ., ცეტანური რიცხვი) მონაცემთა საფუძველზე, ანუ, იმავე მონაკრებსებით, რომლებითაც წინა გამოკვლევები განხორციელდა.

ცხრილი 1. სატესტო მონაკრებსის ექსპერიმენტული და გამოთვლილი დუღილის საშუალო ტემპერატურები, ცეტანური რიცხვები და სიმკვრივეები

ნიმუშები	დუღილის საშუალო ტემპერატურები		ცეტანური რიცხვები		სიმკვრივეები	
	ექსპერიმენტული	გამოთვლილი	ექსპერიმენტული	გამოთვლილი	ექსპერიმენტული	გამოთვლილი
1	286	271.4835	59.1000	57.2580	0.8361	0.8301
2	269	264.2324	47.7000	47.2899	0.8075	0.8180
3	246	262.0238	44.0000	44.9520	0.8064	0.8037
4	250	255.0732	46.9000	42.3317	0.8716	0.8701
5	266	263.6694	53.6000	53.2692	0.8234	0.8245
6	202	215.0434	42.8000	41.5137	0.8453	0.8467
7	274	271.4376	43.1000	45.5152	0.8108	0.8194
8	200	202.2380	48.1000	45.9675	0.8618	0.8616
9	236	243.2846	40.9000	44.2695	0.8542	0.8561
10	270	262.8693	50.1000	54.0770	0.8590	0.8535
11	278	264.6605	49.5000	50.3010	0.8558	0.8583
12	263	256.8897	48.0000	45.3388	0.8134	0.8258
13	207	214.5502	45.9000	47.5662	0.8574	0.8662
14	234	236.4863	47.8000	44.6878	0.8578	0.8517
15	272	252.4531	56.3000	54.8290	0.8509	0.8600
16	270	246.4678	49.1000	51.0748	0.8490	0.8565
17	266	256.3779	46.6000	48.6959	0.8501	0.8529
18	274	261.9447	43.4000	47.6380	0.8473	0.8445
19	270	265.8875	51.7000	49.8914	0.8459	0.8403
20	247	242.2548	46.9000	45.6105	0.8291	0.8142

ქვემოთ განხილული კვლევებისას, ჩვენ ვიყენებდით ხელოვნურ ნერვულ ქსელებს ერთი ფარული შრით, რომელთა სწავლება ეფუძნებოდა ლევერბერგ მარკვარტის ალგორითმს.

როგორც ეს დამახასიათებელია უკუგავრცელებითი ხელოვნური ნეირონულ ქსელებით მოდელირებისას, ჩვენ მოგვიწია მრავალი გამოთვლითი ექსპერიმენტი ჩატარება, რათა დაგვედგინა ქსელების ოპტიმალური არქიტექტურა და სწავლების პირობები. ჩვენ ყოველთვის ვიყენებდით როგორც სასწავლო, ისე ტესტურ დ ვალიდაციის მონაკრებსებს, რათა არ დაგვეშვა ქსელების წონების მორგებ კონკრეტულად სასწავლოდ აღებული მონაცემებისათვის (over-training).

დუღილის ტემპერატურების მოდელირებისას, ქსელის ოპტიმალური არქიტექტურა (ტოპოლოგია) შემდეგი სახისა იყო: 15 საწყისი ნეირონი, ფარული ნეირონი, რომელთაგან 3 წრფივი იყო, ხოლო 2 - სიგმოიდური, 1 - გამოსავალი,

სიგმოიდური ნეირონი.

გამოთვლათა შედეგებმა (სურ. 1) აჩვენა, რომ ამოცანას უფრო წრფივი ხასიათი აქვს, ვიდრე არაწრფივი, მიუხედავად ამისა, არაწრფივი ასახვის გამოყენება საგრძნობლად აუმჯობესებს მეთოდის ხარისხს. ჩვენ მიერ აგებული მოდელი ხასიათდებოდა საკმაოდ მაღალი ხარისხით: r=0,9624

ცეტანური რიცხვების მოდელირება, ისე როგორც წრფივი მეთოდების შემთხვევაში, ყველაზე რთული გამოდგა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მოგვიწია ფარული ფენის (შრის) ნეირონების რაოდენობის გაზრდა 8-მდე, რომელთაგან სამი სიგმოიდური იყო, ხოლო 5 – წრფივი.



სურათი 1. სატესტო მონაკრებსის ექსპერიმენტული (აბსცისა) და გამოთვლილი (ორდინატა) დუღილის ტემპერატურები (მეთოდი: ხელოვნური ნეირონული ქსელები, შეცდომათა უკუგავრცელების ალგორითმი).

აქაც, არაწრფივი ასახვის მეთოდების გამოყენებამ მოგვიტანა საგრძნობლა უფრო საიმედო შედეგები (სურ. 2), ვიდრე გვქონდა მხოლოდ წრფივი მეთოდები გამოყენებისას. საბოლოო მოდელი გამოირჩევა შეუდარებლად უფრო მაღალ საიმედოობით, ვიდრე საწყისი: r=0.9070.

ამრიგად, ნეირონული ქსელების გამოყენებამ საშუალება მოგვცა, მიგველწი მოდელის საფუძვლიანი გაუმჯობესებისათვის, რაც ჩვენი, ახალი, მიდგომი ეფექტურობას ცხადყოფს.

დიზელის საწვავის საკვლევი ნიმუშების სიმკვრივეების მოდელირება შედარები ადვილად მოხერხდა ქსელის იმავე ტოპოლოგიით, რომელიც გამოყენებულ იქნ დუღილის ტემპერატურების მოდელირებისას; კერძოდ, ჩვენ გვქონდა 15 შესავალ ნეირონი, 5 – ფარული, რომელთაგან 3 კვლავ იყო წრფივი, ხოლო 2 – სიგმოიდური დ 1 – გამოსავალი სიგმოიდური ნეირონი.

საბოლოო შედეგი საუცხოოა: r=0.9822 (სურ. 3).

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე შემთხვევაში, ქსელის როგორც „წრფივობის“ (ან წრფივი ფარული ნეირონების), ისე „არაწრფივობის“ ხარისხის ზრდას აღარ მოჰყვ მოდელის შემდგომი გაუმჯობესება, რაც საშუალებას გვაძლევს, შევაფასო პრობლემა როგორც საშუალო ხარისხით არაწრფივი.



სურათი 2. სატესტო მონაკრებსის ექსპერიმენტული (აბსცისა) და გამოთვლილი (ორდინატა) ცეტანური რიცხვები. მეთოდი: ხელოვნური ნეირონული ქსელები, შეცდომათა უკუგავრცელების ალგორითმი



სურათი 3. სატესტო მონაკრებსის ექსპერიმენტული (აბსცისა) და გამოთვლილი (ორდინატა) სიმკვრივეები. მეთოდი: ხელოვნური ნეირონული ქსელები, შეცდომათა უკუგავრცელების ალგორითმი

ცხრილი 2. სატესტო მონაკრების ექსპერიმენტული (აბსცისა) და გამოთვლილი (ორდინატა) დუღილის ტემპერატურები, ცეტანური რიცხვები და დეტონაციის მახასიათებლები (15 ლატენტური ცვლადი)

ნიმუ-შები	დუღილის საშუალო ტემპერატურები		ცეტანური რიცხვები		დეტონაც. მახასიათ.	
	ექსპერი-მენტული	გამოთ-ვლილი	ექსპერი-მენტული	გამოთ-ვლილი	ექსპერი-მენტული	გამოთ-ვლილი
1	286	290.0034	59.1000	56.5073	0.8361	0.8270
2	269	269.5098	47.7000	47.9491	0.8075	0.8214
3	246	253.1243	44.0000	43.0471	0.8064	0.8087
4	250	263.0715	46.9000	43.9099	0.8716	0.8724
5	266	273.0034	53.6000	54.9963	0.8234	0.8184
6	202	218.5582	42.8000	43.3853	0.8453	0.8487
7	274	276.1333	43.1000	44.4440	0.8108	0.8075
8	200	219.0354	48.1000	46.4418	0.8618	0.8641
9	236	246.3864	40.9000	43.1769	0.8542	0.8519
10	270	280.8814	50.1000	55.7111	0.8590	0.8581
11	278	284.1124	49.5000	52.0162	0.8558	0.8631
12	263	266.9567	48.0000	46.4490	0.8134	0.8182
13	207	211.1503	45.9000	47.6567	0.8574	0.8605
14	234	248.0310	47.8000	45.9488	0.8578	0.8573
15	272	258.2852	56.3000	54.9809	0.8509	0.8572
16	270	264.8957	49.1000	50.2620	0.8490	0.8546
17	266	256.0946	46.6000	48.0900	0.8501	0.8535
18	274	269.1603	43.4000	46.1215	0.8473	0.8481
19	270	280.6271	51.7000	52.7673	0.8459	0.8384
20	247	251.2730	46.9000	46.3411	0.8291	0.8218

ცხრილი 3. სატესტო მონაკრებსის ექსპერიმენტული და ნეირონული ქსელებით გამოთვლილი დუღილის ტემპერატურები, ცეტანური რიცხვები და სიმკვრივეები (15 ლატენტური ცვლადი)

ნიმუშები	ნიმუშების დუღილის საშუალო ტემპერატურები		ცეტანური რიცხვები		სიმკვრივეები	
	ექსპერიმენტული	გამოთვლილი	ექსპერიმენტული	გამოთვლილი	ექსპერიმენტული	გამოთვლილი
1	286	278.6386	59.1000	57.7709	0.8361	0.8306
2	269	268.2766	47.7000	46.5806	0.8075	0.8115
3	246	261.0209	44.0000	43.7098	0.8064	0.7971
4	250	258.6804	46.9000	43.2152	0.8716	0.8654
5	266	267.6741	53.6000	55.3915	0.8234	0.8150
6	202	180.5760	42.8000	42.6807	0.8453	0.8477
7	274	264.9993	43.1000	42.5383	0.8108	0.8049
8	200	188.9290	48.1000	48.3883	0.8618	0.8618
9	236	227.4636	40.9000	43.6045	0.8542	0.8546
10	270	267.0243	50.1000	53.3037	0.8590	0.8578
11	278	281.0857	49.5000	51.1601	0.8558	0.8546
12	263	261.1651	48.0000	49.7137	0.8134	0.8145
13	207	211.4153	45.9000	49.2094	0.8574	0.8593
14	234	232.5443	47.8000	48.9488	0.8578	0.8554
15	272	264.7932	56.3000	55.2825	0.8509	0.8550
16	270	264.5696	49.1000	48.1354	0.8490	0.8481
17	266	262.3073	46.6000	46.6698	0.8501	0.8525
18	274	268.0869	43.4000	48.3225	0.8473	0.8475
19	270	275.3308	51.7000	50.3282	0.8459	0.8396
20	247	236.4805	46.9000	46.8014	0.8291	0.8236

ლიტერატურა:

1. M. Otto, *Chemometrics.* Wiley-VCH, Weinheim, p. 306, 1999.
2. M. Otto, *Chemometrics.* Wiley-VCH, Weinheim, p. 196, 1999.
3. D.L. Massart, B. G. M. Vandeginste, L. M. C.Buydens, S. De Jong, *Handbook of Chemometrics and Qualimetrics* : Two-Volume Set, Elsevier, p.44,1998.
4. G. Lekishvili, *The Data,* In: Chemoinformatics, A Textbook, J. Gasteiger, Th. Engel, Eds, 2003.
5. M. Otto, *Chemometrics.* Wiley-VCH, Weinheim, p. 193, 1999.
6. L. Eriksson, E. Johansson, N. Kettaneh-Wold, S. Wold. *Introduction to Multi- and Megavariate Data Analysis using Projection Methods (PCA & PLS),* Umetrics AB, Umea, 1999.
7. S. Wold, K. Esbensen, P. Geladi, Principal Component Analysis, Chemom. Intell. Lab. Syst. 1987, 2, 37-52.
8. D.L. Massart, B. G. M. Vandeginste, L. M. C.Buydens, S. De Jong, Handbook of

Chemometrics and Qualimetrics : Two-Volume Set, Elsevier, p.47,1998.
9. P. Geladi, B. R. Kowalski, Partial Least Squares Regression: A Tutorial, Anal. Chim. Acta, 1986, 185, 1-17.
10. W. G. Glen, J. Dunn III, D. R. Scott, Principal Component Analysis and Partial Least Squares Regression, Tetrah. Comp. Method., 1989, 2, 6, 349-376.
11. M. Otto, Chemometrics. Wiley-VCH, Weinheim, p. 198, 1999.
12. D. E. Rumelhart, G. E. Hinton, R. J. Williams, Learning Representations by Back-Propagating Errors, Nature, 1986, 332, 533-536.
13. J. Zupan, J. Gasteiger, Neural Networks in Chemistry and Drug Design (2nd Edition), Wiley-VCH, Weinheim, pp130-138, 1999.
14. R. Reed, Pruning Algorithms–A Survey, IEE Trans. Neur. Netw.1993, 40, 5, 740-748.
15. S. Mohideen, V. Cherkassky. On Recursive Calculation of the Generalized Inverse of a Matrix, ACM Trans. Math: Soft, 1991, 17, 1, 130-147.

Modelling and Testing the Exploitation Quality and Some Physical Chemica Parameters of Diesel Fuel Based on the data of NIR Spectra

G. Lekishvili, G. Areshidze, N. Lekishvili, T. Leshkasheli
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Summary

There have been investigated the models of NIR spectra and various properties in the context of the Diesel fuel as a model system. By using PCR (Principal Component Regression), the models of satisfactory and of high quality were built. The effect of the number of latent variables on the quality of the models was studied. We proposed a new approach to enable one to employ artificial neural networks without a preliminary use of variable selection techniques. The "NIR spectra – physical chemical property" models obtained with the help of the new method are of a higher quality being useful for diagnostics of the exploitation characteristics of Diesel fuel.

Моделирование и оценка эксплуатационных характеристик и физико-химических свойств дизельного горючего на основе ИК спектральных данных.

Г. Лекишвили, Г. Арешидзе, Н. Лекишвили, Т. Лешкашели
Тбилисский государственый университет им. Ив. Джавахишвили

Резюме

Исследованы модели зависимости разных эксплугационных характеристи и свойств на их ИК спектры в условиях дизельного горючего, как модельно системы. Модели, построенные с помощью РГК (Регрессия Главных Компонент) характеризовались удовлетворительным и высоким качеством. Изучено влияни количества латентных переменных на качество моделей. В работе нам предложен новый подход, позволяющий применять нейронные сети бе предварительного подбора лучших предикторов. Модели, построенные новы методом, обладают более высоким качеством и пригодны для оценк эксплуатационных характеристик дизельного горючего.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები
Proceedings of I. Javakhishvili Tbilisi State University
Труды Тбилисского государственного университета имени Ив. Джавахишвили
360, 2005

Синтез и бактерицидные свойства серосодержащих органосилан(силоксан)диолов, тетролов и олиготетролов

Е. Маркарашвили, Н. Лекишвили, З. Ломтатидзе, Ш. Самакашвили
Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили

Введение. Обоснование проблемы

Известно, что некоторые (азот-, фосфор-, серо- и металлсодержащие и др.) низкомолекулярные элементорганические соединения являются отличными медиаторами и достаточно эффективными внешними факторами регулировки различных биохимических процессов, в том числе и липогенеза в микро - организмах. Общеизвестные биологически активные вещества характери - зуются особенностями состава и строения. Однако, все еще актуальным является поиск новых, более эффективных и доступных синтетических препаратов, обладающих широким спектром биоцидных свойств [1,2].

Анализ полученных результатов в данном направлении показал, что повышенную биоактивность проявляют кремнийорганические соединения, содержащие, одновременно, различные гетероатомы или функциональные группы типа серы, аминов, амидов, аминоалкилсилановых, уретановых, тиоло-фосфатных, лактонных, лактамных и др. [3-9].

В литературе описаны кремнийорганические (азот, серо , мышьяк, и др. [10-12]) низкомолекулярные и полимерные соединения, проявляющие высокую бактерицидную активность, подавляющие рост и развитие различных актиномицетов. Выявлен ряд характерных структурных фрагментов, определяющих антимикробную активность выше упомянутых соединений. При изучении этих веществ основное внимание уделялось выяснению зависимости их биологически активных свойств от их структур, что имеет большое значение для совершенствования методов целе-направленного создания новых, более эффективных средств и расширения их функциональных возможностей [7,8].

Из вышеупомянутых элементорганических соединений, доступностью и повышенной биоактивностью (токсичностью) отличаются серосодержащие соединения, в частности, тиенилсилатраны [6,7], которые рекомендованы использовать в качестве эффективных биоцидов, обладающим тем преимуществом, что они, в пост-действии гидролизуются быстро и теряют токсичность.

Руководствуясь соображением о богатых соответствующих природных ресурсах (имеются все еще ощутимые запасы нефти и доступные для человечества запасы SiO_2), дальнейшее совершенствование методов синтеза новых кремнийорганических биологически активных соединений и разработка эффективных средств на их основе, не потеряла свою актуальность.

Обсуждение результатов

В последние годы нами были синтезированы различные элемент - органические соединения с фунгицидными свойствами. Эти соединения были использованы для защиты технических материалов (предотвращающий процесс деградации), также в сельском хозяйстве (против фитопатогенных микроорганизмов). В этом аспекте по технологичности производства и биологической активности, привлекают внимание тенилсодержащие органосиландиолы, органосилоксандиолы, а также хлортиенилсодержащие циклические тетролы и олиготетролы, изображаемые по следующим общим формулам:



n=1(I), 2(II), 3(III);

(Схема 1)



R=тиенил, n=2(IV), 3 (V); R=хлортиенил, n=2(VI), n=3 (VII)

(Схема 2)

Тиенилорганосиландиолы (TSD) были синтезированы по реакции гидролиза соответствующих дихлорсиланов, а олигорганосилоксандиолы (OSD), циклические тетролы (T) и олиготетролы (OT), по реакции гидролитической конденсации тиенилтрихлорсиланов и тиенилтриацетоксисиланов. Они представляют собой диспергирующие в воде, белые, порошкообразные вещества, растворяющие в этаноле, диэтиловом эфире и ацетоне (TSD), в диэтиловом эфире и ацетоне (T, OT, OSD).

Состав и строение синтезированных соединений было установлено по данным функционального и элементного анализов (таблица 1), инфракрасных (ИК) и ¹H-ЯМР спектров. В ИК спектрах органотиенилсилан- и силоксандиолов наблюдаются полосы поглощения в области 705 и 1220 cm^{-1}; полосы средней интенсивности в области 1500, 1520 и 1800 cm^{-1} и слабая полоса поглощения при 3035 cm^{-1}, подтверждающие наличие C-S-связей тиенильных групп. Интенсивные полосы поглощения в области 1000-1100 свидетельствует о наличии Si-O-Si-групп в олигоорганотиенилсилоксандиолах. В спектрах T и OT были найдены полосы поглощения в области 1085-1090 cm^{-1} (с двумя максимумами равной интенсивности), относящие к антисимметричным валентным колебаниям Si-O-Si-связей в восьмичленных органосилоксановых циклах. Были также обнаружены полосы поглощения в области 1190-1140 cm^{-1}, относящие к Si-O-Si-группам в лестничных огрно-силоксановых соединениях. В инфракрасных спектрах этих соединений были также найдены полосы поглощения в областях 705-750 cm^{-1}, 1220 cm^{-1}, 1510 cm^{-1}, 1800 cm^{-1}, относящие к C-S-связям в тиенильных группах. Полосы поглощения в области 3440-3510 cm^{-1}, относятся к гидроксильным группам циклических тетролов и олиготетролов.



Рис. 1. ИК спектр тиенилсодержащего тетрола.

В ¹Н-ЯМР спектрах олигоорганотиенилсилоксандиолов найдены сигналы с х.с. δ 3.51, для протонов гидроксильных групп; а также сигналы с х.с. δ 6.83-8,10 (смесь цис - транс изомеров – 46%:54%), для протонов тиенилных групп. В ¹Н ЯМР спектрах Т и ОТ найдены сигналы с х.с. δ 3.06, для протонов гидроксильных групп, а также сигналы с х.с. δ8.25-9.03 (смесь цис-транс изомеров–70%:30%), для протонов тиенильных групп (Рис. 2).



Рис. 2. ¹Н-ЯМР спектр тиенилсодержащего тетрола.

На основе данных рентгеноструктурного анализа (Рис. 3) определены некоторые геометрические параметры синтезированных соединений. Так например, для соединений TS и OSD, средняя длина связи Si-O равна 0,1608(9) нм [1,608(9)Å], а валентный угол Si-O-Si – 158,1(4)^0.

Исследовано термоокислительная стабильность полученных олиготетролов (ТГА, на воздухе; скорость нагрева 5^0/мин.). Установлено, что тиенилсодержащие полициклические олиготетролы практически стабильные до 723К. Их интенсивное термоокислительное разложение протекает в температурном интервале 773-873К. Для исследования бактерицидных свойств синтезированных соединений, в качестве тест-систем были подобраны: *Xanthomonas campestris* (возбуждает бактероиз in white-head sprout), *Xanthomonas campestris, Pectobacterium aroideae* (индуцирует рак виноградной лозы), *Actinomices Streptomyces SPP, а также Actinomices griseus Act lavendulae* (разлагают некоторые водорастворимые полимеры). Контрольным веществом использовался *Гексаметилдисилоксан,* не проявляющий бактерицидные свойства (таблица 2).

Таблица 1. Выход, физико-химические свойства, данные элементного и функционального анализов тиенилсодержащих силандиолов, силоксандиолов, тетролов олиготетролов.

№ соединения	Выход, %	Молекулярная масса* Найд./Выч.	$T_{пл}$, ^{0}C	OH, % Найд./Выч.	Элементный состав, % Найд./Вычисл. C	H	S	Si	Cl
I	35,7	152,0 / 160,0	79-80	21,50 / 21,25	37,80 / 37,50	5,30 / 5,01	19,60 / 20,02	17,80 / 17,51	---
II	42,5	307,5 / 302,0	116-118	11,70 / 11,20	40,10 / 39,73	4,11 / 4,63	21,40 / 21,19	18,12 / 18,50	---
III	61,4	446,0 / 438	121-122	8,16 / 7,76	41,50 / 41,09	3,30 / 3,19	21,61 / 21,91	19,73 / 19,17	---
IV	55,0	568,0 / 576,0	105-107	11,72 / 11,80	33,91 / 33,34	2,25 / 2,77	22,98 / 22,22	19,24 / 19,44	---
V	18,5	844,0 / 846,0	80-82	8,02 / 8,03	34,65 / 34,05	2,59 / 2,60	22,67 / 22,69	19,91 / 19,85	---
VI	48,0	739,0 / 714,0	118-120	6,07 / 6,09	26,91 / 26,89	1,59 / 1,68	17,99 / 17,92	15,71 / 15,68	19,85 / 19,82
VII	20,1	1047,0,0 / 1053,0	101-102	9,17 / 9,20	28,19 / 27,35	1,94 / 1,51	18,32 / 18,24	15,89 / 15,95	20.40 / 20,22

*) *Эбулиоскоп.*

Было установлено, что для теплокровных животных синтезированные вещества имеют малую летальную дозу. Так, например, для крыс, в случае всех синтезированных соединений, значение LD_{50} не превышает 1400 мг/л. Из таблиц 2 и 3 видно, что все синтезированные вещества проявляют достаточно высокую бактерицидную активность и подавляют рост и развитие различных (фитопатогенных) микроорганизмов. Исследования показали, что наиболее активным веществом оказалось I-($Si_1C_5H_8O_2S$) (таблица 2), которое эффективно подавляет рост *Bacterium umefaciens*, тогда как *Nocardiopsis SPP* наиболее устойчив к действию данного вещества. Следует заметить, что известный бактерицид «*Цинеб*», который в течение многих лет используется против некоторых фитопатогенных микроорганизмов, поражающих ряд важнейших сельскохозяйственных культур, например виноград (виноградную лозу), менее активен, чем вещество I .



Рис. 3. Строение молекулы II Атом серы в каждом из тиенильных заместителей с вероятностью 1/2 занимает два положения.

Рис 3. Строение вещества II (схема 1). Атом серы в каждом из тиенильных заместителей с вероятностью 1/2 занимают два положения.

блица 2. Бактерицидные свойства синтезированных органосиландиолов и олигосилоксандиолов

Тест – объекты	Вещества*							
	$Si_1C_5H_8O_2S$ (I)		$Si_2C_{10}H_{14}O_3S_2$ (II)		$Si_3C_{15}H_{20}O_4S_3$ (III)		*Гексаметил-исилоксан*	
	Концентрация веществ							
	0,1 г/л	0,01г/л	0,1 г/л	0,01 г/л	0,1 г/л	0,01 г/л	0,1 г/л	0,01 г/л
	зона подавления роста микроорганизмов, мм							
acterium tumefaciens	5,0	3,0	2,0	0,5	2,0	2,0	0.0	0.0
Xanthomonas campestris	1,0	1,0	2,0	2,0	0,5	0	0.0	0.0
ectobacterium aroidiae	2,0	0	2,0	1,0	2,0	2,0	—	0.0
Streptomyus spp	3,0	1,5	4,0	0	3,0	0	0.0	0.0
Nocardiophsis spp	0	0	0,5	0	0,5	0	0.0	0.0

Схема 1.

Необходимо отметить, что строгая корреляционная зависимост труктура-свойства-активность» для синтезированных соединений, по отно ению к использованным тест-объектам, не обнаружена.

Таблица 3. Бактерицидные свойства синтезированных циклических тетролов и олиготетролов

Тест - объекты	Вещества**							
	$C_{16}H_{16}O_8S_4Si_4$ (IV)		$C_{32}H_{28}O_{14}S_8Si_8$ (V)		$C_{16}H_{12}O_8S_4Si_4Cl_4$ (VI)		$C_{32}H_{20}O_4S_3Si_8Cl_8$ (VII)	
	Концентрация веществ							
	0,1 г/л	0,01 г/л	0,1 г/л	0,01 г/л	0,1 г/л	0,01 г/л	0,1 г/л	0,01 г/л
	зона подавления роста микроорганизмов, мм							
Xanthomonas campestris	3,0	0,0	2,0	0,5	2,0	0,0	1,5	0,0
Pectobacterim aroideae	4,0	2,0	3,5	1,5	2,0	0,0	1,5	0,0
Bacterium tumefaciens	3,0	0,0	2,0	3,0	3,0	0,0	2,0	0,0
Act. lavendulae	3,0	0,0	2,0	0,0	3,0	0,0	2,0	0,0
Act. qriseus	2,0	0,0	1,0	0,0	2,0	0,0	1,5	0,0
Streptomyus spp	2,0	0,0	1,0	0,0	2,0	0,0	1,5	0,0

**) Схема 2.

По предварительным данным, на основе синтезированных соединений будут разработаны новые биологически активные материалы, с регулируемым сроком действия, для использования как:

1. Защитные покрытия полифункционального назначения стойкие к биокоррозии, индуцированной микроорганизмами (пленочные материалы, пропиточные составы, пенополиуретановые материалы);
2. Материалы с антимикотическими свойствами - апретирующие и адгезионные составы, в виде водных дисперсии, для производства кожи, обуви и текстиля;
3. Биологически активные полимерные материалы для защиты сельскохозяйственных растений от болезней, вызванных несовершенными грибами и некоторыми другими микроорганизмами, а также человека при контакте с ними и др.

Заключения

1. Синтезированы и изучены биологически активные органосиландиолы, олигоорганосилоксандиолы, циклические тетролы и олиготетролы с тиенильными радикалами у атомов кремния;
2. Изучена бактерицидная активность синтезированных соединений по отношению фитопатогенных микроорганизмов. Установлен ряд их относительной биологической активности;
3. Установлено, что наибольшую бактерицидную активность проявляет метилтиенилсиландиол, эффективно подавляющий рост *Bacterium umefaciens*;
4. Показано, что по отношению к *Pectobacterium aroideae, Pectobacterium aroideae и Bacterium tumefaciens,* достаточно высокую активность проявляют тиенил- и хлортиенилсодержащие циклические тетролы и олиготетролы.

Литература:

1. Denyver S.P. Mechanisms of action of chemical biocides, their study and application [Technical series (Society for Applied Bacteriology)]. Blackwell Scientific Publications, 1991.
2. Hazziza-Laskar, J., et al., Biocidal Polymers Active by Contact. IV. Polyurethanes Based on Polysiloxanes with Pendant Primary Alcohols and Quaternary Ammonium Groups. Journal of Applied Polymer Science, 58 (1), 77-84 (1995).
3. Мегрелидзе Н.Д., Ногайдели А.И., Хананашвили Л.И., Вардосанидзе Ц.Н., Цомая Н.И., Лабарткава М.О. Синтез эпоксидных олигомеров с непредельными группами в цепи молекул. Сообщения АН Грузии, 110(2), 313-316-628 (1983).
4. Hazzizalaskar J., Helary G., Sauvet G. Biocidal polymers active by contact IV. Polyuretanes based on polysiloxanes with pendant primary alcohols and quaternary ammonium groups. Journal of Applied Polymer Science, 58 (1), 77-64 (1995).
5. Janiashvili I. K., Khananashvili L.M., Akhobadze D.Sh., e.a. Synthesis and Properties of N-organosilylmethyllactames. Intern. J. Polym. Mater. 24, 141-143 (1994).
6. Лукевиц Э., Пудова О.А., Ю. Попелис, Н.Н. Ерчак. Элементорганические соедине - ния, содержащие тиенильные гетероциклы. Ж. Общ. Хим., 55(7),1521-1523 (1985).
7. Лукевиц Э., Пудова О.А., Стуркович Р.Я., Гусман А.П.. Взаимодействие аллил- и пропаргилхлоридов с гидросиланами. Ж. Общ. Хим. 51(1),115-119 (1981).
8. Ломтагидзе З.Ш., Лаперашвили К.А., Чачава Г.Н., Ахобадзе Д.Ш.. Антиактино - мицетные свойства некоторых кремнийорганических и мышьяксодержащих соединений. Труды Общества микробиологов Грузии. Тбилиси, 1992, с.93.
9. Гвердцители М.И., Лекишвили Н.Г., Самакашвили Ш.З, Асатиани Л.П. Разработка структурной модели для исследования биоактивных свойств элементорганических полимеров, содержащих несколько гетероатомов. Химический журнал Грузии, 5(1), 94-95 (2005).
10. Помагайло А.Д., Савостьянов В.С. Металлсодержащие мономеры и полимеры на их основе. Издательство «Химия», 1988, с. 332-334.
11. Tomasz Janosik, Brigitta Stensland, and Jan Bergman. Sulfur-Rich Heterocycles from 2-Metalated Benzo[b]thiophene and Benzo[b]furan: Synthesis and Structure. J. Org. Chem, 67(17), 6220-6223 (2002).
12. Khananashvili L., Markarashvili E., Kupatadze N., e.a. Synthesis and study of the bactericide properties of unsaturated silicon-organic compounds. Proceedings of the Academy of Sciences of Georgia. Chemical series, vol. 28, No 1-2, pp. 85-87 (2002) (Georg.).
13. Markarashvili E., Vardosanidze Ts., Lomtatidze Z., Samakashvili Sh., Mukbaniani O., Lekishvili N. SYNTHESIS AND BACTERICIDE PROPERTIES OF THYENIL-CONTAINING TETROLES AND OLYGOTEROLES. International Conference [Under the sponsorship of the Inter-national Science and Technology Center (ISTC)] "New Polymer Systems for Biotechnological and Biomedical Applications". Yerevan, 12-14 July, 2005, 110-111.

გოგირდშემცველი სილან(სილოქსან)დიოლების, ტეტროლების და ოლიგოტეტროლების სინთეზი და ბაქტერიოციდული თვისებები

ე. მარქარაშვილი, ნ. ლეკიშვილი, ზ. ლომთათიძე, შ. სამაკაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

დასინთეზებულია გოგირდშემცველი სილან(სილოქსან)დიოლები, ტეტროლები და ოლიგოტეტროლები. შესწავლილია მათი აღნაგობა და ბაქტერიოციდული თვისებები. დადგენილია ბიოლოგიური აქტივობის რიგი.

Synthesis and bactericidal properties of sulfurconteining silan(siloxane)diols, tetrols and oligotetros

E. Markarashvili, N. Lekishvili, Z. Lomtatidze, Sh. Samakashvili
I. Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The sulfurcontaining siliconorganic compounds - organosilan(siloxane)diols, cyclic tetrols and oligotetrols with fungicide properties have been synthesized. These compounds were used for protection of technical materials (precluding the degradation process) also, in agriculture (against the different phito-pathogen microorganisms).

These compounds have been synthesized by reaction of hydrolysis of methylthienyl-dichlorinesilanes (diols) and by reaction of hydrolytic condensation [oligomethyl-thienylsiloxane diols (OSD), tetrols(T) and oligotetrols (OT)] of corresponding tri-chlorinesilanes and triacetoxysilanes. They are dispersing in water white powders, soluble in ethanol, acetone and diethylester (T, TSD), acetone and diethylester (T, OT). By using of the data of elemental, IR and ^{1}H-NMR spectral analysis, the composition and structure of the synthesized compounds were established.

For investigation of the bactericide properties, as testing systems, were used Xanthomonas campestris (induced of the bacterioz in white-head sprout), Pectobacterium aroideae ((induced of the cancer of vine), and Actinomices Streptomyces SPP, Actinomices griseus Act lavendulae (degraded some water-soluble polymers).

It was shown that all synthesized compounds characterized with the active bactericide properties. These compounds, relative to haematothermal animals have a little toxicity. The LD_{50} for rats, in case of the each synthesized compound, at their continuum introduction, gave 1400 mg/l.

It was established that the synthesized compounds also can be used against phyto-pathogen microorganisms - agricultural and some water-soluble polymers pests.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Proceedings of I. Javakhishvili Tbilisi State University
Труды Тбилисского государственного университета имени Ив. Джавахишвили
360, 2005

ქიმიის სწავლების მეთოდიკა

კოვალენტური ბმა

მ. გვერდწითელი, ე. ცაგურია, მარეხ გვერდწითელი
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

“ქიმია იწყება იქ, სადაც მთავრდება იზოლირებული ატომი და იწყება მოლეკულა”

კ. ოვჩინიკოვი

ქიმიური ბმის ცნება გულისხმობს იმ ძალებს, რომელთა გავლენითაც ატომები უკავშირდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან მოლეკულას. არსებობს ქიმიური ბმის სამი ძირითადი ტიპი: კოვალენტური, იონური და მეტალური. მათ შორის უმნიშვნელოვანესია კოვალენტური ბმა.

კოვალენტური ბმის ბუნებაზე თვისებრივი ელექტრონული წარმოდგენები შემუშავებულ იქნა 1913-1920 წლებში ჯილბერტ ლუისის მიერ, რომელმაც ქიმიური ბმის წარმოქმნის პირობად ელექტრონების გაწყვილება მიიჩნია. ლუისის წარმოდგენების მიხედვით, კოვალენტური ბმის წარმოქმნისას სავალენტო ელექტრონები საზიარო ხდება ორივე ატომისათვის – ამ შეხედულებას ემყარება კოვალენტური ბმის “კლასიკური” განმარტება: “საზიარო ელექტრონული წყვილის (წყვილების) საშუალებით დამყარებულ ქიმიურ კავშირს კოვალენტური ბმა ეწოდება”.

კოვალენტური ბმის წარმოქმნისას ელემენტთა ატომები მიისწრაფვიან შეიქმნან ინერტული აირების ანალოგიური რვაელექტრონიანი სტაბილური კონფიგურაცია – ოქტეტი (წყალბადის შემთხვევაში, ორელექტრონიანი – დუბლეტი). ქვემოთ მოყვანილია კოვალენტური ბმის წარმოქმნის სქემა – ოქტეტური თეორიის თვალთახედვით – პირველი და მეორე პერიოდის ელემენტებისათვის:



კოვალენტური ბმა წარმოიქმნება ერთნაირი ან მცირედ განსხვავებული ელექტროუარყოფითობების მქონე ელემენტების ატომებს შორის.

კოვალენტური ბმის ბუნების ფიზიკური არსის ინტერპრეტაცია შესაძლებელი გახდა კვანტური მექანიკის წარმოდგენებზე დაყრდნობით –

რაც გულისხმობს მოცემული მოლეკულის შესაბამისი შრედინგერის განტოლების ($H\Psi=E\Psi$) ამოხსნას (აქ: H – ჰამილტონიანია, E — სისტემის სრული ენერგია, Ψ – ტალღური ფუნქცია).

პირველ მოლეკულას, რომელიც კვანტურ-მექანიკურად იქნა დახასიათებული (ე.ი. "ამოხსნილი" იქნა შესაბამისი შრედინგერის განტოლება), წარმოადგენს წყალბადი. გამოთვლები ჩატარებულ იქნა 1927 წელს ვ. ჰაიტლერისა და ფ. ლონდონის მიერ, რითაც, ფაქტობრივად, შეიქმნა კოვალენტური ბმის კვანტური თეორიის საფუძვლები და, ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა კვანტურ ქიმიას.

ჰაიტლერ-ლონდონის მიდგომის ფარგლებში, წყალბადის მოლეკულის გამოთვლის შედეგები მოცემულია ნახ. 1-ზე. ქვედა (უწყვეტი) მრუდი შეესაბამება ატომთა შორის მიზიდვას – ბმის წარმოქმნას, ზედა (წყვეტილი) მრუდი – ატომთა განზიდვას.



ნახ.1. წყალბადის მოლეკულის ენერგიის დამოკიდებულება ატომთაშორის მანძილზე

ჰაიტლერმა და ლონდონმა გამოთვალეს კოვალენტური ბმის რაოდენობრივი მახასიათებლები – სიგრძე და ენერგია, თუმცა მათ შედეგებს მიახლოებითი ხასიათი ჰქონდა და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ექსპერიმენტულად განსაზღვრულისაგან (იხ. ცხრილი 1). წყალბადის მოლეკულა შემდგომში არაერთგზის იქნა გამოთვლილი, ამასთანავე გამოთვლითი მეთოდების სიზუსტის თანდათანობით გაზრდით, შესაძლებელი გახდა ექსპერიმენტულ მონაცემებთან აბსოლუტურად თანხვედრილი შედეგების მიღება. ცხრილ 1-ში მოყვანილია გამოთვლების შედეგები.

ცხრილი 1. წყალბადის მოლეკულის ზოგიერთი "გამოთვლის" შედეგები

ავტორები	ტალღურ ფუნქციაში შემავალ წევრთა რიცხვი	E_B, (ევ)	R_O, (ნმ)
ჰაიტლერი და ლონდონი	2	3.14	0.0869
ვეინბაუმი	4	4.02	0.0749
ჯეიმსი და კულიჯი	13	4.72	0.0740
კოლოსი და რუტაანი	50	4.7467	0.0741
კოლოსი და ვოლნიევიჩი	100	4.748545	0.0741
ექსპერიმენტული		4.748545	0.0741

თანამედროვე კვანტურ-ქიმიური შეხედულებით, კოვალენტური ბმის წარმოქმნა არაა დაკავშირებული მიკროსამყაროს სპეციფიკურ "მიმოცვლით" ძალებთან (როგორც ეს ადრე არასწორად მიაჩნდათ). ერთადერთი ძალები, რომლებიც მოქმედებენ კოვალენტური ბმის წარმოქმნისას, არის ელექტროსტატიკური მიზიდვისა და განზიდვის ძალები. ასევე, სინამდვილეს არ შეესაბამება შეხედულება, რომ ბმის წარმოქმნის მიზეზია სპინების გაწყვილება. თეორიულად დამტკიცდა, რომ ბმის წარმოქმნისას ელექტრონების სპინები საერთოდ არ მონაწილეობენ, ხოლო მათი შეუღლება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ბმის წარმოქმნის მაჩვენებელს – "ინდიკატორს" – ჰაიტლერისა და ლონდონის მარტივ მოდელში.

კოვალენტური ბმის წარმოქმნის რეალური მიზეზია ელექტრონთა პოტენციური ენერგიის შემცირება, რაც განპირობებულია ელექტრონების ყოფნის ალბათობის (ე.წ. "ელექტრონული ღრუბლის სიმკვრივის") გაზრდით ატომგულთა შორის სივრცეში*.

მოკლედ განვიხილოთ კოვალენტური ბმის ძირითადი მახასიათებლები: ენერგია, სიგრძე, პოლარობა, პოლარიზებადობა, ნაჯერობა და მიმართულება.

კოვალენტური ბმის წარმოქმნა დაკავშირებულია ენერგიის გამოყოფასთან და ამ ენერგიას კოვალენტური ბმის ენერგია (ენთალპია) ეწოდება. სქემატურად:

$$A\cdot + \cdot B \longrightarrow A:B - \Delta H$$

ცხადია, რაც უფრო მტკიცეა კოვალენტური ბმა, მით მეტი ენერგია გამოიყოფა მისი წარმოქმნისას. მე-2 ცხრილის მეორე სვეტში მოყვანილია შედარებით გავრცელებული ქიმიური ბმების ენერგიები.

კოვალენტურ ბმას ახასიათებს გარკვეული სიგრძე, რომელიც წარმოადგენს ბმის წარმომქმნელი ელემენტების ატომგულთა ცენტრებს შორის მანძილს. მე-2 ცხრილის მესამე სვეტში მოყვანილია ზოგიერთი კოვალენტური ბმის სიგრძე.

როდესაც კოვალენტური ბმით ერთდება სხვადასხვა ელექტროუარყოფითობის მქონე ელემენტები, დადებითი და უარყოფითი მუხტების სიმძიმის ცენტრები არ ემთხვევა ერთმანეთს და წარმოქმნილი ბმა იძენს

---

* არსებობს კოვალენტური ბმის ბუნებაზე ალტერნატიული თანამედროვე მოსაზრება, რომელიც ემყარება ორბიტალების გადაფარვის ტოპოლოგიურ სპეციფიკას.

პოლარობას. ბმის პოლარობის რაოდენობრივი მახასიათებელია მისი დიპოლური მომენტი:

$$\mu = q\cdot r,$$

სადაც q მუხტია, ხოლო r – მანძილი მუხტების სიმძიმის ცენტრებს შორის.
ქიმიური ბმების დიპოლური მომენტი, ტრადიციულად, იზომება დებაებში: 1D $=10^{16}$ ელ.სტ.ერთ. (ერთეულების საერთაშორისო SI სისტემაში 1D $=3.336\cdot10^{-30}$ კ.მ.).

დიპოლური მომენტი ვექტორული სიდიდეა და მიმართულია დადებითი მუხტის სიმძიმის ცენტრიდან უარყოფითი მუხტის სიმძიმის ცენტრისაკენ. მე-2 ცხრილის მეოთხე სვეტში მოცემულია ზოგიერთი ბმის დიპოლური მომენტი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რადგან დიპოლური მომენტი ვექტორული სიდიდეა, მთელი მოლეკულის დიპოლური მომენტი დამოკიდებულია როგორც ცალკეული ბმების დიპოლურ მომენტზე, ისევე მთლიანი მოლეკულის გეომეტრიაზე.

კოვალენტური ბმების მნიშვნელოვანი მახასიათებელია მათი პოლარიზებადობა, რომელიც წარმოადგენს ქიმიური კავშირის პოლარობის შეცვლის უნარს გარეშე ზემოქმედების შედეგად. ასეთი გარეშე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ელექტრომაგნიტურმა ველმა, რეაქციის პროცესში მიახლოებულმა ნაწილაკმა და ა.შ. ზოგიერთი კოვალენტური ბმის პოლარიზებადობა მოტანილია მე-2 ცხრილის ბოლო სვეტში.

რაც შეეხება კოვალენტური ბმის სივრცითი ორიენტაციის საკითხს, მისი ინტერპრეტაცია შეიძლება როგორც "სუფთა" ატომური ორბიტალების მიმართულების საფუძველზე, ისევე ჰიბრიდიზაციის კონცეფციის გამოყენებით.

პირველი მიდგომის საილუსტრაციოდ განვიხილოთ VI ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტების ჰიდრიდები: H_2O, H_2S, H_2Se და H_2Te. ამ ნაერთებში ცენტრალური ატომები (O, S, Se, Te) ბმებს წარმოქმნიან ორბიტალების საშუალებით, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ურთიერთმართობულნი არიან ($\angle= 90°$). ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ $\angle$ X დაახლოებით 90°-ის ტოლი უნდა იყოს. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჟანგბადი ბმებს წარმოქმნის 2p ორბიტალებით, გოგირდი – 3p ორბიტალებით, სელენი – 4p ორბიტალებით და ტელური – 5p ორბიტალებით. ამგვარად, მანძილი წყალბადის ორ ბმულ ატომს შორის ამ ნაერთებში იზრდება ჟანგბადიდან ტელურისაკენ (წყალბადატომები სივრცითად სულ უფრო შორდებიან ერთმანეთს). ამ ეფექტმა უეჭველი ასახვა უნდა პოვოს $\angle$ X -ის სიდიდეზე – იგი H_2O-დან H_2Te-მდე თანდათანობით უნდა შემცირდეს. ეს მართლაც ასეა: $\angle$HOH = 104.5°, $\angle$ SH= 92°, $\angle$ Se = 91°, $\angle$HTe =90°, რაც ზემოთ მოყვანილი მიდგომის ეფექტურობაზე მიუთითებს.

ჰიბრიდიზაციის კონცეფცია ჩამოყალიბებულია 1931 წელს პოლინგის, სლეტერისა და მათგან დამოუკიდებლად – მალიკენისა და ჰუნდის მიერ მეთანის გეომეტრიის ასახსნელად. მათ დაუშვეს, რომ ოთხვალენტოვან მდგომარეობაში ნახშირბადი კოვალენტურ ბმებს წარმოქმნის არა "სუფთა" 2s და 2p ორბიტალებით, არამედ მათი ერთგვარი "ჰიბრიდით".

აღნიშნული ტიპის ჰიბრიდიზაციას ტეტრაგონალური, ანუ sp^3 ჰიბრიდიზაცია ეწოდება (რადგან მასში მონაწილეობს ორი s- და სამი p- ორბიტალი). კუთხე sp^3 ორბიტალებს (აქედან გამომდინარე – მათ მიერ წარმოქმნილ ქიმიურ ბმებს) შორის 109°28′-ის ტოლია.

ანალოგიურად განიხილება ტრიგონალური – sp^2 და დიაგონალური (წრფივი) – sp ჰიბრიდიზაციები: sp^2 ჰიბრიდული ორბიტალები კოპლანარულებია (ერთ სიბრტყეში მდებარეობს) და კუთხე მათ შორის 120°-ის ტოლია sp ორბიტალები ერთ წრფეზეა განლაგებული და კუთხე მათ შორის 180°-ის ტოლია.

ცხრილი 2. ზოგიერთი კოვალენტური ბმის ენერგია, სიგრძე, პოლარობა და პოლარიზებადობა

ბმის ტიპი	ენერგია, კჯ/მოლი	სიგრძე, ნმ	პოლარობა, დებაი	პოლარიზებადობა, სმ^3
C – C	350	0.154	0	1.3
C = C	620	0.133	0	4.2
C ≡ C	810	0.120	0	6.2
C – N	290	0.147	0.45	1.6
C = N	615	0.127	1.4	3.8
C ≡ N	880	0.115	3.1	4.8
C – O	340	0.143	0.7	1.5
C = O	710	0.121	2.4	3.3
C – F	485	0.140	1.39	1.4
C – Cl	330	0.176	1.47	6.5
C – Br	280	0.191	1.42	9.4
C – I	240	0.212	1.25	14.6
H – C	415	0.109	0.4	1.7
H – O	465	0.096	1.51	1.7
H – N	390	0.101	1.31	1.8

პოლინგმა შეიმუშავა ჰიბრიდიზაციის "მომგებიანობის" კრიტერიუმი, რომელიც ეფუძნება მოსაზრებას, რომ კოვალენტური ბმის სიმტკიცე ატომური ორბიტალების გადაფარვის ხარისხის პროპორციულია. გამოთვლებით დადგინდა, რომ ჰიბრიდული ორბიტალებით წარმოქმნილი ბმები უფრო მტკიცეა, ვიდრე "სუფთა" ორბიტალებით წარმოქმნილი. მე-3 ცხრილში მოცემულია ორბიტალების ტიპი და მათი მონაწილეობით წარმოქმნილი ბმების ფარდობითი სიმტკიცე.

ნახ. 2-ზე მოყვანილია CH_4 -ის, Cl_3 -ისა და BeF_2 -ის ორბიტალური სქემები, როგორც sp^3, sp^2 და sp ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი ატომების მიერ წარმოქმნილი კოვალენტური ბმების სივრცითი ორიენტაციის ილუსტრაცია.

ცხრილი 3. ორბიტალების ტიპი და მათი მონაწილეობით წარმოქმნილი ბმების ფარდობითი სიმტკიცე

ორბიტალის ტიპი	s	p	sp	sp^2	sp^3
ბმის ფარდობითი სიმტკიცე	1.000	1.432	1.932	1.991	2.000



ნახ. 2. CH_4-ის, BCl_3-ისა და BeF_2-ის ორბიტალური სქემები

დაბოლოს, განვიხილოთ კოვალენტური ბმის სპეციფიკური ტიპი – დონორულ-აქცეპტორული (კოორდინაციული) ბმა.

დონორულ-აქცეპტორული ბმის ცნება ქიმიაში შემოტანილია 1893 წელს ალფრედ ვერნერის მიერ. ალფრედ ვერნერი იყო კომპლექსურ (კოორდინაციულ) ნაერთთა აღნაგობის პირველი თეორიული მოძღვრების ავტორი. ამიტომ მან დონორულ-აქცეპტორული ბმისათვის, რომელიც კოორდინაციულ ნაერთებში გვხვდება, შემოიტანა ტერმინი "კოორდინაციული ბმა" (იგი დღემდე ხმარებაშია როგორც დონორულ-აქცეპტორული ბმის სინონიმი).

განმარტების მიხედვით, "ქიმიურ ბმას, რომელიც ერთ-ერთი ატომის გაუზიარებელი ელექტრონების წყვილის ხარჯზეა დამყარებული, დონორულ-აქცეპტორული ბმა ეწოდება."

დონორულ-აქცეპტორული ბმა კოვალენტური ბმის ისეთი კერძო შემთხვევაა, როდესაც ორ ატომს შორის ქიმიური ბმის წარმოქმნისათვის საჭირო ელექტრონულ წყვილს ერთი ატომი – დონორი გაიღებს.

ამგვარად, თუ ჩვეულებრივი კოვალენტური ბმა შეიძლება განვიხილოთ როგორც "ელექტრონი – ელექტრონი" ურთიერთქმედების შედეგი, დონორულ-აქცეპტორული ბმა მიიღება "თავისუფალი ელექტრონების წყვილი – ვაკანტური ორბიტალი" ურთიერთქმედების შედეგად. სქემატურად ეს შემდეგნაირად შეიძლება აღინიშნოს:

კოვალენტური ბმის შემთხვევაში:

$$A\cdot \;+\; \cdot B \longrightarrow A:B$$

დონორულ-აქცეპტორული ბმის შემთხვევაში:

$$A: + \bigcirc B \longrightarrow A \ominus B$$

ამგვარად, **A** ელექტრონული წყვილის დონორია, **B** – ელექტრონული წყვილის აქცეპტორია.

დონორულ-აქცეპტორული ბმის წარმოქმნის კლასიკური მაგალითია

$$NH_3 + HX \longrightarrow NH_4X$$

ამონიუმის ჰიდროქსიდში და ამონიუმის მარილებში: სადაც X = **OH**, ან მჟავას ნაშთია.

ამ პროცესის მექანიზმი შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: პროტონს – წყალბადის კათიონს არ გააჩნია ელექტრონული შრე. ამგვარად, პროტონი ქიმიური ბუნებით უნიკალურია – იგი "შიშველი" ატომგულია. აზოტს კი აქვს თავისუფალი ელექტრონული წყვილი, რომლის ხარჯზეც ხდება პროტონის ამიაკთან მიერთება და მიიღება ამონიუმის იონი, რომელშიც ოთხივე ბმა აბსოლუტურად ეკვივალენტურია. ხოლო პროტონის დადებითი მუხტი მთელ ამონიუმზეა გადანაწილებული:

დონორულ-აქცეპტორული ბმა წარმოიქმნება ამიაკისა და ბორის ტრიფტორიდის ურთიერთქმედების შედეგად, შემდეგი სქემის მიხედვით:



ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი წარმოდგენები კოვალენტური ბმის ბუნებაზე და თვისებებზე, ცხადია, მაქსიმალურად გამარტივებულად -- უმაღლესი მათემატიკის აპარატის გამოყენების გარეშეა მოყვანილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ქიმიური ბმების ბუნების არსის კვლევას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და შემდგომი ინტენსიური შესწავლის ობიექტს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. მ. გვერდწითელი, ჯ. კერესელიძე, დ. ტუღუში. ქიმიური ბმები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.
2. მ. გვერდწითელი, ო. დევდარიანი. მოლეკულათა აღნაგობა და ქიმიური ბმები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988.
3. მ. გვერდწითელი, ო. დევდარიანი. მოლეკულათა აღნაგობა და მათი გარდაქმნების კანონზომიერება. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.
4. გ. ჩახტაური, გ. გამზიანი, მ. გვერდწითელი. ვექტორული აღრიცხვის ელემენტები და მისი გამოყენება ქიმიაში. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
5. მ. გვერდწითელი. ორგანული ქიმიის თეორიული საფუძვლები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.
6. მ. გვერდწითელი, შ. სიდამონიძე. ნივთიერების აღნაგობა. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.

Covalence bonding

M. Gverdtsiteli, E. Tsaguria, Mar. Gverdtsiteli
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Qualitative and modern quantum-chemical views about covalence bonding are discussed. The fundamental characteristics of the main covalence bonding are represented. The mechanism of coordination bonding formation is demonstrated.

Ковалентная связь

М. Гвердцители, Е. Цагурия, М. Гвердцители

Тбилисский государственый университет им. Ив. Джавахишвили

Резюме

Рассмотрены качественные и современные квантово-химические представления о ковалентной связи. Приведены фундаментальные характеристики важнейших ковалентных связей. Показан механизм образования донорно-акцепторной связи.

გამომცემლობის რედაქტორები: [illegible]არიანი,
შ. [illegible]რიანი

კორექტორები: ნ. მაჭავარიანი,
დ. გოგიბერაშვილი
მ. ლაშქარაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.10.05

საბეჭდი ქაღალდი 60X84

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,0

სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,4

შეკვეთა № 53 ტირაჟი 6050

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ 1, ☎: 2 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge